ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4124965

ნომერი: AR1620518

თარიღი : 15.08.2018

გაცემის თარიღი : 16.08.2018

გაცნობის თარიღი : 16.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 18ა , (ნაკვეთი N009/006);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მუხრან აბაიშვილი პ/ნ 20001000119
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 5 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახურში, აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს/კ01.10.15.009.006) ფიქსირდება AR1616775 განცხადება, მრავალფუნქციური კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების ესკიზის წინასწარი შეთანხმების მოთხოვნით, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია და რომელიც ასევე ითვალისწინებს ანალოგიურ სამუშაოებს რაც ამჟამად წარმოდგენილი გაქვთ ფოტომონტაჟით. აქედან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული სამუშაოები განხორციელებული იქნას მთლიანი შენობის რეკონსტრუქციის კუთხით შესაბამისი კლასის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.